ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 27 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, შ. ჭილაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ცატავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა სტადიაზე იყო, სტიქიისაგან დაზარალებულების დახმარების საკითხი. მისი განცხადებით, მოსახლეობა ელოდება დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობისგან.

ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - განმარტა, რომ შედგენილია ხარჯთააღრიცხვა და ეტაპობრივად განხორციელდება პრობლემების მოგვარება.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სამხარეო ადმინისტრაციაც ჩართულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება არსებული პრობლემა, რომელიც სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას აწუხებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. **ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 90,0 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე გადიდდა ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტები"-დან (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 17 აგვისტოს N1621 განკარგულებით 833,9 ათასი ლარით და 2018 წლის N1666 განკარგულებით 188,7 ათასი ლარით). ასევე იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი" 146,4 ათასი ლარით. მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 36,8 ათასი ლარით. კერძოდ: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებები 19.8 ათასი ლარით; პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნები 10,0 ათასი ლარით; პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებები 7,0 ათასი ლარით. ასევე საქართველოს მთავრობის 2018 წლის N1397 განკარგულებით მცირდება შემოსავლები „გრანტებიდან" 53,2 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნება. ნაშთის 90,0 ათასი ლარი, გამონთავისუფლებული 36,8 ათასი ლარი და შემოსულობების ზრდით მიღებული 335,1 ათასი ლარი, სულ 461,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 431,9 ათასი ლარი, აქედან 258,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებებზე, 120,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე, 53,9 ათასი ლარი პროგრამის ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე; 30,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებაზე, კერძოდ: ქვეპროგრამის ,,ავადმყოფთა სოციალური დახმარება" ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა

გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 12095.7 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N33 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის გარკვეული ნაწილი არის დაუმთავრებელი და დაუტვირთავი. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული „განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“

ითხოვს საწარმოო დანიშნულებისათვის 42 კვ.მ ფართის იჯარით აღებას, სადაც განახორციელებს სოფლის ახალგაზრდების დასაქმებას, ამასთან იღებს ვალდებულებას ფართის რემონტზე. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფლის ახალგაზრდების დასაქმების და ადმინისტრაციულ ერთეულში საწარმოო პროცესის ამოქმედების თვალსაზრისით 10 წლის ვადით მოთხოვნილი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს „განათლებისა და განვითარების ცენტრს „თოლისკური", საიჯარო ქირა განისაზღვროს ქონების საბალანსო ღირებულების 10% ოდენობით. მერია ასევე შემოდის წინადადებით არასამთავრობო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ხობი NEWS "-ს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე არსებული 19,25 კვ.მ ფართი, საოფისედ, მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ბ. მამაცაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიესალმება აღნიშნული საკითხის მოგვარებას, რადგანაც დიდი ხანია ჭალადიდის მოსახლეობა ითხოვს მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით შეზღუდულიყო მძიმე წონიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და განეთავსებინათ შესაბამისი სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნები.

თ. გულია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე - გამომსვლელი მიესალმება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და განაცხადა, რომ დაახლოებით იგივე პრობლემები აწუხებს გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას და მოითხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა მოგვარებულიყო მათი პრობლემებიც.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის თანახმადაც ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით შეიზღუდება მძიმე წონიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და განთავსდება სიჩქარის შემზღუდავი შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდება საგზაო ნიშანი „ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა“ 5 ტ. ზემოთ აკრძალულია. (N3.12. - 2 ცალი); ბ) წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდება საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ 50 კმ-ზე ზემოთ აკრძალულია. (N3.24. - 2 ცალი). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნა კომისიაზე, საკრებულოს აპარატის მიერ პროექტის ხელმოსაწერად მომზადების შემთხვევაში მიაჩნია, რომ განკარგულების პროექტის სათაური დაკორექტირდეს, კერძოდ: „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, სხვა მხრივ პროექტის მიმართ კომისიას შენიშვნები არ აქვს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე მშენებლობებზე და განაცხადა, რომ მიესალმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, თუმცა სთხოვა მერიის შესაბამის სამსახურებს მკაცრად გააკონტროლონ მიმდინარე მშენებლობებზე შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება განახორციელონ, რათა დაცული იყოს თითოეული დასაქმებულის სიცოცხლე და უსაფრთხოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თემურ გულუა
11. ბექა მამაცაშვილი
12. შადიმან ჭილაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. როლანდ სერგია
16. ლაშა ცატავა
17. დიტო ხასია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მერაბ ნადარაია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. ირაკლი ნადარაია